საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი

შუალედური ანგარიში





ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 1

პროექტის ფარგლებში გაანალიზებული საჯარო დოკუმენტები და მოთხოვნილი ინფორმაცია 3

ანალიტიკური ნაშრომების მოკლე მიმოხილვა 10

- COVID 19-ის პერიოდში განხორციელებული შესყიდვები 11
- პანდემიის წინააღმდეგ მიღებული საბიუჯეტო ზომების ანალიზი 13
- აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგის შედეგები 15

პროექტის ფარგლებში დამუშავებული მონაცემთა ბაზები 17

შუალედური შეფასება 21

ძირითადი მიგნებები

ძირითადი მიგნებები

- ანტიკრიზისული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებები, ხშირ შემთხვევაში, **არასრულყოფილად, ან საერთოდ არ გასცემენ ისეთ საჯარო ინფორმაციას,** რომელიც კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში უშუალოდ მათი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს და ღირებულია ანტიკრიზისული გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში.

- სამთავრობო ანგარიშებში სხვადასხვა ანტიკრიზისული პროგრამის შედეგები წარმოჩენილია იმ ფორმით, რაც საზოგადოებისათვის პროგრამის წარმატების შესახებ **გადაჭარბებული წარმოდგენების შექმნას უწყობს ხელს.**

- COVID 19-ის პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების უდიდესი ნაწილი მიემართება კოვიდ სასტუმროებისა და კლინიკების მობილიზებაზე. მაგალითად, 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, სასტუმროებისა და კლინიკების მომსახურების შესყიდვებში **200 მლნ ლარამდე დაიხარჯა.**

- ამ მიზნობრიობით განხორციელებული შესყიდვების უდიდესი ნაწილი ხორციელდება გამარტივებული წესით, ხოლო ცალკეული უწყებების მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული **გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებები საჯაროდ ხელმიუწვდომელია.**

- 2020 წლის ანტიკრიზისული გეგმით, მოქალაქეებისთვის პირდაპირი დახმარებების სახით გათვალისწინებული იყო ერთ მლრდ. ლარზე მეტი, რაც მთლიანი **ანტიკრიზისული ფონდის 29.5%-ს შეადგენს.** ცალკეულ შემთხვევებში პირდაპირი დახმარება განისაზღვრა ერთნაირი მოცულობით, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე მოსახლეობის მაღალ შემოსავლიანი ნაწილისთვის.

- ანტიკრიზისული გარკვეული დახმარების პროგრამები მცირე მოცულობით იყო წარმოდგენილი და **შესაძლებელი იყო აღნიშნული დახმარებების მოცულობის და მიზნობრივი სეგმენტის ზრდა.** იმ ფონზე, როდესაც ბიუჯეტის ათვისება გარკვეული პროგრამების შემთხვევაში ვერ მოხერხდა.

- საქართველოს სახელმწიფო ვალი 2020-2021 წლებში **მშპ-ს 60%-ს გადააჭარბებს,** რაც აღემატება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ 60%-იან ზღვარს.

პროექტის ფარგლებში გაანალიზებული საჯარო დოკუმენტები და მოთხოვნილი ინფორმაცია

პროექტის ფარგლებში გაანალიზებული საჯარო დოკუმენტები და მოთხოვნილი ინფორმაცია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით ახორციელებს, პროექტს **„საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19 თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი“.** საქართველოში პანდემიის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება Covid-19-თან დაკავშირებული საჯარო ფინანსების, საჯარო შესყიდვების, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესრულების, StopCov ფონდის ხარჯვისა და დონორთა დახმარების განაწილების მონიტორინგი.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პროექტის შუალედურ ანგარიშს, რომელიც მიმოიხილავს, 2020 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს, მონიტორინგის შედეგებს, ძირითად მიგნებებსა და გაცემულ რეკომენდაციებს.

კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის შესრულების და მის ფარგლებში გაწეული ხარჯების მონიტორინგის მიზნით, IDFI-მ შეისწავლა საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები/მონაცემები და გამოჰყო ის საკითხები, რომელთა სრულყოფილი ანალიზი საჭიროებდა საჯარო დაწესებულებებიდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვას. კერძოდ, IDFI-მ შეისწავლა შემდეგი საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები/ინფორმაცია:

- ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა;
- ფინანსთა სამინისტროს ანტიკრიზისული გეგმა;
- ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა;
- სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა;
- დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის ანტიკრიზისული გეგმა;
- ჯანდაცვის სამინისტროს ანტიკრიზისული გეგმა;
- განათლება - ანტიკრიზისული გეგმა;
- Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში;
- ანტიკრიზისული ბიუჯეტი;
- 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში;
- ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე საგარეო დაფინასების შესახებ განთავსებული მონაცემები;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები;

პროექტის ფარგლებში გაიგზავნა ორი ტიპის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებები. პირველი წარმოადგენდა სტანდარტული შინაარსის მოთხოვნას, რომელიც ეგზავნებოდა გარკვეულ საჯარო დაწესებულებათა ჯგუფს. მაგალითად, 192 სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან IDFI-მ გამოითხოვა კორონავირუსის პანდემიის პირობებში, უწყების 2020 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების, ბიუჯეტიდან დაფინანსებული ღონისძიებების და გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში, სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების შესახებ ინფორმაცია. 64 მუნიციპალიტეტის მერიიდან IDFI-მ გამოითხოვა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

მეორე ტიპის განცხადებები მოიცავდა არასტანდარტული შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს, რომელიც იგზავნებოდა კონკრეტულ უწყებებში, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მოთხოვნილი იქნა პანდემიის პირობებში გამოცემული მთავრობის განკარგულებების ასლები, ჯანდაცვის სამინისტროდან სამედიცინო ინფრასტრუქტურის მომზადებისთვის, აღჭურვილობის მომარაგებისთვის, მედპერსონალის მომზადებისთვის განხორციელებული აქტივობები და ხარჯები, ფინანსთა სამინისტროდან დონორებისგან მიღებული დაფინანსების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

პროექტის ფარგლებში, 200-მდე საჯარო დაწესებულებას სულ გაეგზავნა 480 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საიდანაც პასუხი მიღებულია 326 მოთხოვნაზე.

პროექტის ფარგლებში გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები



განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს ცალკეული უწყებებიდან, ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის არიდება, რომელიც კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში, უშუალოდ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს და ღირებულია ანტიკრიზისული გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში. მაგალითად, პანდემიის ფარგლებში მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები, მათ შორის თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით მიიღება საქართველოს მთავრობის განკარგულების

საფუძველზე. 2020 წლის 19 მარტის შემდეგ, საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე განკარგულებები აღარ გამოქვეყნებულა. ცალკეული განკარგულებები ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე, თუმცა ისინი ვერ ქმნიან თანმიმდევრულ და სრულ სურათს. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ IDFI-ის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, პანდემიის პერიოდში მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულებების შესახებ, უპასუხოდ დატოვა. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, IDFI-მ მიმართა სამართლებრივ მექანიზმებს და აწარმოებს დავას თბილისის საქალაქო სასამართლოში. პროექტის ფარგლებში IDFI-მ სამართლებრივი დავა დაიწყო ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომელმაც უპასუხოდ დატოვა სამინისტროს მიერ პანდემიის ფარგლებში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარებისა და ინსპექტირების აქტებისა და თითოეულ მათგანზეა ჩატარებული ბაზრის კვლევის დოკუმენტების ასლები.

პროექტის ფარგლებში IDFI-ს მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები

საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების შინაარსი	შედეგი
192 საჯარო დაწესებულება (პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, 11 სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი, აჭარის მთავრობა და სამინისტროები, 64 მუნიციპალიტეტის მერია, 90 სსიპ და სხვა დამოუკიდებელი ორგანო)	კორონავირუსის პანდემიის პირობებში, უწყების 2020 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები და მის ფარგლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებული ღონისძიებების ჩამონათვალი.	პასუხი მიღებულია (138 საჯარო დაწესებულებიდან)
	გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში, სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან, ბაზრის კვლევის მიზნით, გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები	პასუხი მიღებულია 124 საჯარო დაწესებულებიდან
64 მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების ჩამონათვალი	პასუხი მიღებულია 44 მერიიდან
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	2020 წლის 20 მარტიდან დღემდე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებების ასლები	**უპასუხო** IDFI-მ მიმართა სასამართლოს

დაავადებათა კონტროლის ცენტრი	კარანტინში ყოფნის პერიოდში დადგენილი კორონავირუსის შემთხვევები; შესყიდული სწრაფი ტესტები	არასრული მონაცემები
ჯანდაცვის სამინისტრო	სამედიცინო ინფრასტრუქტურის მომზადებისთვის, აღჭურვილობის მომარაგებისთვის, მედპერსონალის მომზადებისთვის განხორციელებული აქტივობები და ხარჯები; საკარანტინე სივრცეებში მოქალაქეთა განთავსების ხარჯები და იქ ყოფნისას გამოვლენილი შემთხვევები. უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული დახმარების თხოვნით შესული განცხადებები და უარის შემთხვევები.	არასრული მონაცემები
ფინანსთა სამინისტრო	სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის თავიდან აცილების მიზნით გაფორმებული შეთანხმებები, საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლეები და საშეღავათო თანხები, საბანკო სესხების სუბსიდირებაზე გაწეული ხარჯები, დეველოპერული სექტორის მხარდაჭერისთვის გაცემული იპოთეკური სესხები და დევნილი ოჯახებისთვის შესყიდული ბინები; პანდემიის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორების მიერ ქვეყნის ეკონომიკისთვის გამოყოფილი თანხები და მისი მიზნობრიობა;	სამინისტრომ წარმოადგინა, დონორების მიერ ჩარიცხული თანხების და საგადასახადო შეღავათების შესახებ ინფორმაცია. დანარჩენი მოთხოვნები პასუხის გაცემის მიზნით გადაუგზავნა ჯანდაცვის, ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს.
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში ამოქმედებული პროგრამის „იაფი დიზელი	ინფორმაცია წარმოდგენილია სრულად

	ფერმერებს" განხორციელების შესახებ დეტალური მონაცემები. სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის თავიდან აცილების მიზნით გაფორმებული შეთანხმებები, პირველადი წარმოების ზრდის ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ მონაცემები.	არასრული მონაცემები
ეროვნული ბანკი	ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სესხის გადავადების შესაძლებლობით მოსარგებლეთა შესახებ მონაცემები საფინანსო ორგანიზაციებთან საგადასახადო დავალინების გამო შავ სიაში მყოფი მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები	არასრული მონაცემები
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი და გაწეული ხარჯები	უპასუხო
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სამშენებლო მასალების ფასის ზრდის დაზღვევასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და შეთანხმებული პირობები	სრულყოფილი
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობების (ტექნიკის შეძენა, პერსონალის გადამზადება და სხვა.) ჩამონათვალი, თითოეულზე გაწეული ხარჯის და თარიღის მითითებით.	არასრული მონაცემები

შინაგან საქმეთა სამინისტრო	61 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარებისა და ინსპექტირების აქტებისა და თითოეულ მათგანზე ჩატარებული ბაზრის კვლევის დოკუმენტების ასლები. სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულებები არ ქვეყნდება შესყიდვების ელ-სისტემის CMR მოდულში.	უპასუხო IDFI-მ საჩივრით მიმართა სამინისტროს
თავდაცვის სამინისტრო	14 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარებისა და ინსპექტირების აქტებისა და თითოეულ მათგანზე ჩატარებული ბაზრის კვლევის დოკუმენტების ასლები. სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულებები არ ქვეყნდება შესყიდვების ელ-სისტემის CMR მოდულში.	არასრული მონაცემები

ანალიტიკური ნაშრომების მოკლე მიმოხილვა

ანალიტიკური ნაშრომების მოკლე მიმოხილვა

საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის, ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, IDFI-მ განახორციელა ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი, რომელიც წარმოდგენილია ანალიტიკური დოკუმენტების სახით. პროექტის აღნიშულ ეტაპზე გამოქვეყნდა შემდეგი ანალიტიკური ნაშრომები:

- COVID 19-ის პერიოდში განხორციელებული შესყიდვები
- ანტიკრიზისული გეგმის მიმოხილვა
- აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგის შედეგები

COVID 19-ის პერიოდში განხორციელებული შესყიდვები

კვლევის ფარგლებში, IDFI-მ მოიძია და დაამუშავა მონაცემები Covid-19-ის მიზნობრიობით განხორციელებულ ყველა კატეგორიის შესყიდვაზე რამდენიმე ნაწილად. ჯამურად შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემიდან დამუშავდა **520 SMP (გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოთხოვნა) და 921 CMR (გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება).** შესწავლილი შესყიდვების რაოდენობა თემატურად ასე გადანაწილდა:

1. 11 მაისი - 24 ივლისის ჩათვლით[1]:
   - 215 SMP (გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოთხოვნა)
2. 25 ივლისი - 30 სექტემბრის ჩათვლით:
   - 270 SMP (გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოთხოვნა)
   - 285 CMR (გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება)
3. კლინიკებში საწოლების მობილიზების შესყიდვები:
   - 54 CMR (გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება)
4. კოვიდ სასტუმროების მობილიზება:
   - 34 SMP (გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოთხოვნა)
   - 566 CMR (გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება)
5. სამედიცინო პერსონალის მომსახურება
   - 1 SMP (გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოთხოვნა)
   - 16 CMR (გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება)

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი **ძირითადი მიგნებები:**

→ 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, სასტუმროებისა და კლინიკების მომსახურების შესყიდვებში **200 მლნ ლარამდე დაიხარჯა.**

[1] 21 მარტი - 11 მაისის მონაცემები გამოყენებულია IDFI-ის კვლევებიდან:
https://bit.ly/2IPHTNI
https://bit.ly/3mf3nRS

- 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, სავალდებულო კარანტინის უზრუნველყოფისათვის საჭირო პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვებში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ **78 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა**.

- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 ნოემბერის განკარგულებით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დამატებით გამოეყო 35 მილიონი ლარის რესურსი, რაც უკვე დახარჯულ თანხასთან ერთად **100 მლნ ლარს აჭარბებს**. დამატებითი რესურსით უნდა გაგრძელდეს კოვიდ სასტუმროების მობილიზება და ამ პროცესთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების უზრუნველყოფა.

- კლინიკებში დამატებითი საწოლების მობილიზების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ შესყიდვების სააგენტოსაგან, ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით, ჯამში **98.5 მილიონი ლარის** ღირებულების ხელშეკრულების შეთანხმება მოითხოვა.

- საკარანტინე/საველე სივრცეებში მედპერსონალის უზრუნველსაყოფად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეთანხმებული ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ **625,537 ლარი შეადგინა**. მხოლოდ ნოემბერში კი დამატებით **300,000 ლარამდე** ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა.

გაანალიზებული მონაცემებით დადგინდა, რომ თანხების უდიდესი ნაწილი იხარჯება კოვიდ სასტუმროებისა და კლინიკების მობილიზებაზე. ამ მიზნობრიობით შესყიდვების უდიდესი ნაწილი ხორციელდება გამარტივებული წესით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ Covid-19-თან დაკავშირებული ზოგიერთი მომსახურების შესყიდვა ნაწილობრივ უბრუნდება ელექტრონული ტენდერის ფორმატს, რაც მისასალმებელია, თუმცა ასეთი შემთხვევები არ არის ბევრი. ვთვლით, რომ ისეთი მომსახურების შესყიდვები, რომელიც უკვე აპრობირებულია და მათი საჭიროების შესახებ წინასწარი ცოდნა არსებობს, შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რათა მოხდეს მეტი კონკურენციის უზრუნველყოფა.

შესყიდვების მონიტორინგი დაკავშირებული იყო ბევრ ტექნიკურ პრობლემასთან. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების არ არსებობა ღია, დამუშავებად ფორმატში. Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების მხრივ კი ცალკე მოდულის/საფუძვლის არარსებობა იწვევს ასეთი შესყიდვების სისტემაში გაფანტვას, რომელთა შეგროვება და კოვიდ-შესყიდვად იდენტიფიცირება, ხშირ შემთხვევაში რთულია. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ზოგიერთი უწყების მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებები საჯაროდ ხელმიუწვდომელია.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რამდენიმე საჯარო უწყების მიმართ IDFI-მ გასცა შემდეგი **რეკომენდაციები**:

- შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების ღია, დამუშავებად ფორმატში განთავსება.

- შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების ცალკე საფუძვლად გამოყოფა ან მსგავსი შესყიდვების შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება.

- შესყიდვების სააგენტომ გააკონტროლოს გადაუდებელი აუცილებლობით მოთხოვნილი გამარტივებული შესყიდვების CMR მოდულში განთავსებისას შესაბამისი SMP კოდების მითითება შემსყიდველის მიერ.

- თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უზრუნველყონ გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების, კანონის შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნება. შესყიდვების სააგენტომ განახორციელოს შესაბამისი კონტროლი და ზედამხედველობა, რათა ასეთი შემთხვევები დროულად აღმოიფხვრას და არ დარჩეს ყურადღების მიღმა. ამასთან, შემოწმდეს ხელშეკრულების დაფარვის მიზანშეწონილობა.

- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, მაქსიმალურად შეამცირონ გამარტივებული შესყიდვების გამოყენება ისეთი მომსახურებისა და პროდუქტების შესყიდვისას, რომელთა საჭიროება წინასწარ ცნობილია და შესაძლებელია მათი დაგეგმვა და კონკურენტული პირობებით ჩატარება.

პანდემიის წინააღმდეგ მიღებული საბიუჯეტო ზომების ანალიზი

ანალიტიკური ნაშრომი მიმოიხილავს პანდემიის ფარგლებში მიღებული ზომების გავლენას საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და ანტიკრიზისული გეგმის პირველი ეტაპის დახმარებების სტრუქტურას. ნაშრომში გაანალიზებულია უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისათვის გაწეული და სხვა სოციალური დახმარებების ეფექტიანობა. ასევე მიმოხილულია ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სამშენებლო, სოფლის მეურნეობის და ტურისტული სექტორისთვის გაწეული დახმარებები.

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა **ძირითადი მიგნებები**, რომლებიც მოსალოდნელ მაკროეკონომიკურ შედეგებთან და ანტიკრიზისული გეგმის შესრულების პრობლემებთან არის დაკავშირებული. მათ შორის:

- საქართველოს ეკონომიკა 2020 წელს მოსალოდნელია -6%-მდე შემცირდეს. ხოლო შეზღუდვების გამკაცრება წლის ბოლოსათვის მშპ-ს უფრო მეტად შეამცირებს.

- ბიზნესის განწყობის ინდექსი რეკორდულ მინიმუმზეა.

- 3.5 მილიარდიანი ანტიკრიზისული გეგმის უდიდესი ნაწილი (30%) მოქალაქეთა პირდაპირი დახმარებების სახით იყო დაგეგმილი.

- პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილთა 200-ლარიანი დახმარებისთვის გამოყოფილი 450 მლნ. ლარიდან მესამედის ათვისებაც ვერ მოხერხდა.

- 18 წლამდე ბავშვების კომპენსაციაზე დახმარება 925,000 ბავშვზე გაიცა. ბავშვის სოციალური მდგომარეობის მიუხედავად დახმარება იყო ერთნაირი.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, IDFI-მ შეაჯამა ანტიკრიზისული გეგმის გამოწვევები და გასცა რეკომენდაციები, რომლებიც ეხება ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში პროგრამების ეფექტიან დაგეგმვას, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფებისთვის დახმარების ზრდის გაზრდას და სხვა.

- **თვითდასაქმებულებზე გამოყოფილი ბიუჯეტი არასაკმარისია და წინასწარ განსაზღვრულმა კრიტერიუმებმა შეფერხება გამოიწვია.**
  პროგრამამ ჯამური თვითდასაქმებულების 29% მოიცვა და შემოსავლის დადასტურების გამო შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე ვერ მოხდა პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ათვისება.

- **18 წლამდე მოზარდების დახმარება უფრო სპეციფიურ მიდგომას მოითხოვს.**
  გამოყოფილი დახმარები იყო ერთნაირი მოცულობით როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, ასევე მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ნაწილისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, რატომ იყო თავდაპირველად განსაზღვრული 800,000 ბავშვის დახმარება.

- **200-ლარიანი ყოველთვიური დახმარება დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური არასაკმარისია და დახმარების მოცულობის გაზრდა შესაძლებელი იყო.**
  აღნიშნული დახმარება მცირედით აჭარბებს ისედაც დაბალ საარსებო მინიმუმს, რომელიც 2020 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში საშუალოდ 192 ლარია. იმ ფონზე, როდესაც გამოყოფილი ბიუჯეტის მესამედის ათვისებაც ვერ მოხერხდა, შესაძლებელი იყო გამოყოფილი თანხა გაზრდილიყო. ასევე, გაუგებარია დიფერენციაციის კრიტერიუმები თვითდასაქმებულებისგან, რომლებისთვისაც დახმარება ერთჯერადად 300 ლარს შეადგენს.

- **კომუნალური დახმარების პროგრამა არასამართლიანი პრინციპით წარიმართა.**
  სასურველი იყო ამ პროგრამით ესარგებლათ სოციალურად დაუცველებს და იმ დაბალშემოსავლიან მოსახლეობას, რომელიც პანდემიამ ყველაზე მეტად დააზარალა. კომუნალური ვაუჩერები დაფუძნებულია მოხმარების მოცულობაზე და ხშირ შემთხვევებში შეიძლება არ პასუხობდეს დახმარების მიზნობრიობას. ვაუჩერებზე უარის თქმა კი მხოლოდ საკუთარი სურვილით შეუძლია საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე პირებს.

- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის და შშმ პირებისათვის დახმარების ზრდა შესაძლებელია.**
  სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და შშმ პირების დახმარების პროგრამებზე დახარჯულმა თანხებმა გამოყოფილ ბიუჯეტს გადააჭარბა, რაც დახმარების უფრო მაღალ მოთხოვნაზე მიუთითებს. იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიამ გაზარდა სოციალურად დაუცველების რიცხვიც, მიზანშეწონილია ამ პროგრამებზე გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდა. ასევე, სასურველია ბენეფიციარების წრე გაიზარდოს და უფრო მეტი შშმ პირი მოიცვას.

- **საშემოსავლო გადასახადის გაუქმება ხელფასის პირველ 750 ლარზე მნიშვნელოვანი შეღავათია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის.**
  აღნიშნული შეღავათი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესისათვის და პოსტპანდემიურ პერიოდში პროგრამის გაგრძელება შეამცირებდა წნეხს როგორც დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე, ასევე მცირე ბიზნესზე.

- **2021 წლის ანტიკრიზისულ გეგმაში გათვალისწინებულია საკრედიტო ვალდებულებების გადავადება, დეკ-იან პერიოდში საქმიანობა შეჩერებული პირებისათვის. თუმცა, უცნობია როგორ წარიმართება საკრედიტო ვალდებულებების გადავადება და აღნიშნული საკრედიტო ვალდებულებები მხოლოდ საბანკო სესხებს მოიცავს, თუ მსო-ების ვალდებულებებსაც**
  მთავრობას არ აქვს განმარტებული საპროცენტო ხარჯის საკითხი და სავარაუდოდ, შემდგომ პერიოდებზე მსესხებლის გადასახდელებზე გადანაწილდება. ასევე, აღნიშნული გადავადების პოლიტიკა მხოლოდ საბანკო სესხებზე ვრცელდება, თუ სხვა ტიპის ვალდებულებებსაც მოიცავს.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგის შედეგები

ანალიტიკური ნაშრომი ეფუძნება საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას, რომელიც მოიცავს პროგრამის ფარგლებში მიმწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული შეთანხმების პირობებს, ასევე ბენეფიციარებისთვის საშეღავათო ფასით გაცემული და ათვისებული საწვავის ოდენობების შესახებ ინფორმაციას. ფერმერების მიერ მიღებული რეალური ფასდაკლებების შესწავლის მიზნით, ასევე გაანალიზდა მიმწოდებელი კომპანიის ვებგვერდზე განთავსებული საწვავის ყოველდღიური საბაზრო ღირებულებების და კონსოლიდირებული ტენდერის მიხედვით ყოველთვიურად დადგენილი სახელშეკრულებო ფასების მაჩვენებლები.

კვლევაში განხილულმა გარემოებებმა, მნიშვნელოვანი კითხვებს გააჩინა პროგრამის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი **ძირითადი მიგნებები:**

- გაცემულია 30,854,470 ლიტრი დიზელის საწვავის ფასდაკლების ბარათი, საიდანაც ბენეფიციარებმა აითვისეს მხოლოდ 10,225,460 ლიტრი (33,1%).

- პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებმა 1 ლარიანი ფასდაკლების ნაცვლად, დიზელი ავტოგასამართ სადგურებზე საშუალოდ 45 თეთრიანი ფასდაკლებით შეისყიდეს.

- ფერმერების მიერ, მიღებული შეღავათი შეადგენს დაახლოებით 4.6 მილიონ ლარს, რაც პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე, 9-ჯერ ჩამოუვარდება მის საბოლოო მიზანს (40,000 მილიონამდე შეღავათი ფერმერებს).

პროგრამის დასრულებამდე ერთი თვით ადრე დამდგარი შედეგები, ერთი მხრივ, პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელებისას არსებულ პრობლემებზე მიუთითებდა, ხოლო, მეორე მხრივ, აჩენდა ეჭვებს ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში პროგრამის მასშტაბებისა და ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებაში გადაჭარბებული მოლოდინების ხელოვნურად შექმნის მცდელობაზე. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ამყარებდა საქართველოს ხელისუფლების მიერ პროგრამის შედეგების ამსახველი ციფრების იმ ფორმით წარმოჩენა, რაც საზოგადოებისათვის პროგრამის წარმატების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენების შექმნას უწყობდა ხელს.

პროექტის ფარგლებში დამუშავებული მონაცემთა ბაზები

პროექტის ფარგლებში დამუშავებული მონაცემთა ბაზები

საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე (სარეზერვო ფონდების ხარჯები, ბიუჯეტის ცვლილებები და სხვა) მიღებული პასუხების მიხედვით, ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტების საშუალებით შეიქმნა მონაცემთა ბაზები, რომლის მიხედვით შეიქმნება კვლევითი დოკუმენტები. კერძოდ, IDFI-ის მიერ დამუშავებული მონაცემები ფარავს შემდეგ საკითხებს:

- საბანკო სესხებზე დაწესებული შეღავათები.
- დონორების მიერ საქართველოსთვის გაწეული ფინანსური დახმარებები.
- პანდემიის ფარგლებში საჯარო დაწესებულებების ბიუჯეტის შემოსავლებზე და ხარჯებზე განხორციელებული ცვლილების მონაცემთა ბაზა.
- ადგილობრივი თვითმმართველობების სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯების მონაცემთა ბაზა.
- პანდემიის ფარგლებში, პარლამენტის წევრების მიერ საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვნილი ინფორმაციის მონაცემთა ბაზა.

საბანკო სესხებზე დაწესებული შეღავათები

IDFI-მ დაამუშავა საქართველოს ეროვნული ბანკის მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, რომელიც ეხება პანდემიის ფარგლებში კომერციული ბანკების მიერ სესხის გადავადებაზე დაწესებულ პირობებს და ამ შესაძლებლობით მოსარგებლეთა სტატისტიკურ ინფორმაციას. ასევე, ვადაგადაცილებული სესხების მქონე, ე.წ. შავ სიაში მყოფი მოქალაქეების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს. პირველადი შედეგების მიხედვით, იმ პირების რაოდენობა ვინც ერთხელ მაინც ისარგებლა სესხის გადავადებით, 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, შეადგენს 1,137,122 საცალო პროდუქტების მსესხებელს და 98,624 კორპორატიული, საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესის საკრედიტო პროდუქტების მსესხებელ პირს. საშეღავათო პირობების დაწესებაზე არსებული მიდგომები განსხვავდებოდა ფინანსური ორგანიზაციების მიხედვით. საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, ვადაგადაცილებული სესხების მქონე ფიზიკური პირების რაოდენობა დაახლოებით 10%-ით გაიზარდა.

მუნიციპალიტეტების სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯები

კორონავირუსის პანდემიის ფარგლებში მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების ანალიზის მიზნით, დამუშავდა ადგილობრივი თვითმმართველობიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია. კერძოდ, შეიქმნა მონაცემთა ბაზა, სადაც მუნიციპალიტეტების მიხედვით, თემატურად კლასიფიცირებულია სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯები.

- **პანდემიის გავლენა საჯარო დაწესებულებების ბიუჯეტის შემოსავლებზე და ხარჯებზე**

კორონავირუსის პანდემიის პირობებში საჯარო დაწესებულებების 2020 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით შეიქმნა მონაცემთა ბაზა, სადაც მონაცემები კლასიფიცირებულია შემოსავლების და ხარჯების კლასიფიკაციის მიხედვით.

- **დონორების მიერ საქართველოსთვის გაწეული ფინანსური დახმარება და მისი ათვისების ეფექტიანობის ანალიზი**

ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს დონორების მიერ ქვეყნისთვის გაცემული ფინანსური მხარდაჭერა შეადგენს, 1,158 მილიარდ ევროს და 430 მილიონ აშშ დოლარს. საგარეო დაფინანსების ფარგლებში, განხორციელებული პროგრამების და გაწეული ხარჯების შესახებ დამატებით დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით გაგზავნილია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები.

დონორების მხარდაჭერა 2020 წლისათვის

პროგრამა	სესხის თანხის ოდენობა	სტატუსი
IMF EFF გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი	USD 200 000 000.00	ჩამორიცხულია.
WB (IBRD)„ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების პოლიტიკის ოპერაციები" (DPO)	EUR 45 000 000.00	ჩამორიცხულია.
WB (IBRD) „განვითარების პოლიტიკის ღონისძიება ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობისთვის: დამატებითი სესხი COVID-19-ზე რეაგირებისთვის" (DPO)	EUR 45 000 000.00	ჩამორიცხულია.
AIIB „განვითარების პოლიტიკის ღონისძიება ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობისთვის: დამატებითი სესხი COVID-19-ზე რეაგირებისთვის: COVID-19 კრიზისის შემსუბუქება"	EUR 45 000 000.00	მიმდინარეობს თანხის ჩამორიცხვისთვის საჭირო პროცედურები.
WB (IBRD) "COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი"	EUR 73 100 000.00	თანხის ნაწილი ჩამორიცხულია

AIIB „COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტთან“	EUR 91 340 000.00	თანხის ნაწილი ჩამორიცხულია
KfW ენერგეტიკის სექტორის რეფორმა (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL) III	EUR 90 000 000.00	ჩამორიცხულია
AFD საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმა (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL) III	EUR 120 000 000.00	ჩამორიცხულია
AFD სოციალური კეთილდღეობის პროგრამა (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL))	EUR 70 000 000.00	ჩამორიცხულია
ADB „COVID-19- ზე საგანგებო რეაგირებისა და დანახარჯების მხარდამჭერი პროგრამა“	EUR 92 300 000.00	ჩამორიცხულია
EU მაკრო-ფინანსური დახმარება	EUR 75 000 000.00	მიმდინარეობს თანხის ჩამორიცხვისთვის საჭირო პროცედურები.
EU State Resilience Program (გრანტი)	EUR 60 000 000.00	მიმდინარეობს თანხის ჩამორიცხვისთვის საჭირო პროცედურები.
ADB საქართველოს ელექტროსისტემის კორპორატიზაცია და ენერგეტიკის ბაზრის განვითარება	USD 100 000 000.00	მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი
ADB წყლისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამა	USD 80 000 000.00	ხელმოწერის პროცედურა
ADB თანამედროვე უნარების განვითარება უკეთესი დასაქმებისთვის, სექტორის განვითარების პროგრამა	USD 50 000 000.00	მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი
ADB ფისკალური მართვა და სოციალური დახმარების პროგრამა	EUR 170 823 000.00	ხელმოწერის პროცედურა
KfW მსოფლიო ბანკის დამატებით DPO-ზე დამატებითი თანხა (რეპროგრამირება ბათუმი V და GOGC)	EUR 180 000 000.00	მიმდინარეობს თანხის ჩამორიცხვისთვის საჭირო პროცედურები.

პარლამენტარების მიერ, პანდემიის ფარგლებში საჯარო დაწესებულებებიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

IDFI-მ შეისწავლა და დაამუშავა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე, სადეპუტატო კითხვების პორტალზე, განთავსებული დოკუმენტაცია, რომელიც აერთიანებს პანდემიის პერიოდში პარლამენტის წევრების მიერ გაგზავნილ დაახლოებით 500 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში.

შუალედური შეფასება

შუალედური შეფასება

2020 წლის ივლისი-ნოემბერი პერიოდში, პროექტის, **„საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19 თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი“,** ფარგლებში IDFI-ს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს Covid-19-თან დაკავშირებული **ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული პროცესის გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი.** კერძოდ, ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი მთელი რიგი უწყებების მიერ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების შესაბამისად დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის არიდება, მნიშვნელოვნად აზარალებს კრიზისული მდგომარეობის ფარგლებში მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს და მნიშვნელოვნად ზრდის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური განკარგვის რისკებს. გაუმჭვირვალე პროცესის ფონზე, მსგავს რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის, კრიზისული მდგომარეობის ფარგლებში გამარტივებული წესით განხორციელებული შესყიდვების მზარდი მაჩვენებლები, საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული ფინანსური დახმარებების მნიშვნელოვნად გაზრდილი მოცულობა და სხვა. ასევე, გაუმჭვირვალე პროცესის ერთ-ერთ გამოვლინებად შესაძლებელია შეფასდეს, მონიტორინგის ფარგლებში განხილული შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების მიერ ცალკეული ანტიკრიზისული პროგრამის შედეგები წარმოჩენილია იმ ფორმით, რაც საზოგადოებისათვის პროგრამის წარმატების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენების შექმნას უწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულმა ანტიკრიზისულმა გეგმამ მოსახლეობას და ბიზნესს შეუმსუბუქა პანდემიის შედეგად გამოწვეული პრობლემები, IDFI მიიჩნევს, რომ ანგარიშში წარმოჩენილი მთელი რიგი საკითხების, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის დაგეგმვასთან, პირდაპირი დახმარებების სოციალური საჭიროებების მიხედვით განაწილებასთან და სხვა, ოპტიმალური გადაწყვეტის პირობებში, შესაძლებელი იყო ანტიკრიზისული ღონისძიების ეფექტიანობის ზრდა.

IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შუალედური შედეგების მიხედვით, **საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებთ**:

- უზრუნველყოს პანდემიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების და გაწეული ხარჯების მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცესი. მათ შორის, მნიშვნელოვანია ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება და IDFI-ს მიერ შემუშავებული **რეკომენდაციების** მიხედვით, კრიზისის დროს საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის ფორმირება.

- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, მაქსიმალურად შეამცირონ გამარტივებული შესყიდვების გამოყენება ისეთი მომსახურებისა და პროდუქტების შესყიდვისას, რომელთა საჭიროება წინასწარ ცნობილია და შესაძლებელია მათი დაგეგმვა და კონკურენტული პირობებით ჩატარება.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, გაითვალისწინოს IDFI-ის რეკომენდაციები, რომელიც ეხება ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების ღია, დამუშავებად ფორმატში განთავსებას, გადაუდებელი აუცილებლობით მოთხოვნილი გამარტივებული შესყიდვების SMP კოდების მითითების კონტროლს და სხვა.

- ახალი სამოქმედო გეგმის ფორმირებისას, მაქსიმალურად გათვალისწინებულ იქნას 2020 წლის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, პროგრამების დაგეგმვასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით შუალედურ ანგარიშში მოყვანილი ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობს როგორც დახმარებების მოცულობის, ასევე მიზნობრივი სეგმენტის ეფექტიან ზრდას.

- ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში შემუშავებული ნებისმიერი პროგრამის მასშტაბებისა და ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებას მიეწოდოს რეალობასთან შესაბამისობაში მყოფი მონაცემები, რაც გამორიცხავს პროგრამის ბენეფიციარებისათვის არასწორი მოლოდინების შექმნას.